შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა N1

„მონაცემების მიწოდების თაობაზე“ 2016 წლის 12 იანვრის მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 19 დეკემბერი 2017 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული **სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში-სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს დირექტორის მოადგილის, **კობა სონღულაშვილის** სახით,

მეორე მხრივ, **დმანისის მუნიციპალიტეტის მერია** (შემდგომში-მერია), წარმოდგენილი დმანისის მუნიციპალიტეტის მერის, **გიორგი ტატუაშვილის** სახით,

შემდგომში, მხარეებად წოდებულნი,

დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის „მონაცემების მიწოდების თაობაზე“ 2016 წლის 12 იანვარს გაფორმებული მემორანდუმის (შემდგომში-მემორანდუმი) 7.1 და 7.2 პუნქტების, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 48-ე მუხლის და აგრეთვე, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ტატუაშვილის 2017 წლის 4 დეკემბრის N07/3979 წერილის საფუძველზე,

ვთანხმდებით შემდეგზე:

1. მემორანდუმში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მემორანდუმის მხარედ, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ნაცვლად, განისაზღვროს დმანისის მუნიციპალიტეტის მერია;

ბ) მემორანდუმის ტექსტში სიტყვა „გამგეობა“, ყველგან, შეიცვალოს სიტყვით „მერია“.

2. მემორანდუმის სხვა პირობები დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე შეთანხმება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტო
ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზ.N144
საიდენტიფიკაციო კოდი: 202178927

კობა სონღულაშვილი
სააგენტოს დირექტორის მოადგილე

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ.4
საიდენტიფიკაციო კოდი: 228928391

გიორგი ტატუაშვილი
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი